პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! ოთხშაბათი, 28 იანვარი 1925 წ. წელიწადი მეხუთე ფასი 3 კაპ.

# წითელი არმიელი

№ 20 (708) 1 და 2 ქ. მ. დ. პოლიტ-განების ორგანო. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ევანგულოვის ქუჩა ტელ. 2—24
განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც ნომპარელის სტრიქონ. სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

## დაეხმარეთ „წითელ-არმიელს“! გამოიწერეთ ის! ხელი შეუწყვეთ მის ფართედ გავრცელებას!

...დივიზიის უკანასკნელმა პარ... კონფერენციამ დიდი ყურად... ება მიაქცია ჩვენი გაზეთის ...ეურ და მატერიალურ მხა... ...ს და ამ მხრივ გამოიტანა ...ელი რიგი დადგენილებებისა, ...მელიც მიმართულია მისი ...მჯობესებისაკენ.

...ალე ოთხი წელი შესრულ...ება, რაც არსებობს „წითე...ლ-არმიელი“. ამ ხნის განმავ...ლობაში მან ბევრი სიძნელენი ...გაჭირვებანი გადაიტანა. უსა...რობა მუდამ მისი მტერი ... ხან გამოშვებით ჩვენი ...ილებიც უწევდენ მას შეძ...ებისდაგვარად დახმარებას, ...რამ ეს, რასაკვირველია, წვე...ი იყო ზღვაში, ვინაიდან გა...ეთი უმეტესად ცხოვრობდა ...ურე სუბსიდიების საშვალე...ით. მაგრამ მიუხედავათ ამისა ...ენი გაზეთი მაინც განაგრძ...ობდა მტკიცედ დგომას თავის ...არაჯოზედ და ერთგულად ...ახურებოდა ჩვენი წითელი ...რის განმტკიცების და გაძლი...ების საქმეს. მთელი ამ ხნის ...მავლობაში გაზეთი რიგდე...და ნაწილებში უსასყიდლოთ. ...ეს იმ დროს, როცა გაზეთს ...ინდა უმნიშვნელო სახსარი ...ძლივსძლივობით არსებობ... ოთხი წელი ემსახურა ასე ...იგად „წითელ არმიელმა“ ...ენს ჯარს. მგონი საკმარისი ...ოა რომ დაფასდეს ეს უან...რო ღვაწლი.

...ჩვენი გაზეთი კვლავ სდგას ...ტერიალური კრიზისის წინა... და აქ პირველ რიგში მას ...ედ ხელი უნდა გაუწოდოს ...რის ნაწილებმა. ეს პირდა...ი მოვალეობას შეადგენს ...ლა პოლიტმომუშავეს, მე...ურების და წითელ-არმიელი... რით შეუძლიათ დაეხმა...ნ მათ თავის ორგანოს?

უმთავრესად ხელის მოწერით. ეს არის ერთად ერთი გზა ჩვენი გაზეთის უსახსრობისაგან დახსნისა. ჩვენი გაზეთი ვალდებულია გამოიწეროს ყველა მეთაურმა და პოლიტმომუშავემ.

მისი გამოწერაც შეუძლიათ წითელ-არმიელებსაც—მაგალითად ხუთ ან ექვს წითელ-არმიელს შეუძლიათ ერთი გაზეთის გამოწერა.

ერთი სიტყვით, ჩვენი ნაწილები მაქსიმალურად უნდა დაეხმარონ გ. „წითელ არმიელს“. წინააღმდეგ შემთხვევაში ის ვერ იქნება თავის მოწოდების სიმაღლეზე და უკიდურეს შემთხვევაშიც სრულიად შეწყვეტს არსებობას. ამიტომაც არ კმარა ერთდროული დახმარება. საჭიროა ხელის მოწერა სწარმოებდეს სისტემატიურად და გაძლიერებული ტემპით. მხოლოდ მაშინ შესძლებს ჩვენი გაზეთი თავის მკითხველთა მოთხოვნილების დაკმაყოფილებას და თავის მოვალეობის პირნათლად შესრულებას.

შესახებ იმისა, რომ გაზ. „წითელ-არმიელი“-ს არსებობა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ჩვენი წითელი ჯარისათვის, ამაზედ ზედმეტია ლაპარაკი და ყველასათვის ეს უდავო ჭეშმარიტებას წარმოადგენს.

გაზეთმა უნდა იარსებოს და ეს დამოკიდებულია ჩვენი ჯარის პოლიტდამ.-თაურთა-შემადგენლობის აქტიურ დახმარებისაგან. აგრეთვე ეს ეხება ჩვენ წითელ-არმიელებსაც.

თითეულმა და ყველამ უნდა დაეხმაროს „წითელ-არმიელს“.

**გამოიწერეთ ის! ხელი შეუწყვეთ მის გავრცელებას!**

## „ლენინის მემკვიდრეები.“
(„იზვესტიას“ წერილი).

...ამ სათაურით გაზეთ „იზვე...იაში“ მოთავსებულია წერი...ი, რომელშიაც ნათქვამია:

„ცნობები იმაზე, თუ რო...რ ჩატარდა ლენინის გარდა...ცვალების წლის თავი, უკვე ...ბას გვაძლევს ჯამი გაუკე...ოდ ზოგიერთ ანგარიშებს.

...ჯერ ერთი-მან დაგვანახა, ...მ ლენინი არა მარტო რუ...თის ფიგურაა, არამედ მსო...ლიო. ყველა ქვეყნის კუთ...ებში, სადაც კი შეიჭრა კა...

...ცობრიობის განმათავისუფლებელი ბრძოლის სული, ლენინის ხსოვნას პატივს სცემენ ისევე მხურვალედ, როგორც საბჭოთა კავშირის ფარგლებში.

მეორე ის რომ ამ წლის თავმა ერთხელ კიდევ დაგვანახა, თუ როგორი ღრმა ფესვები გასდგა ლენინიზმა და როგორ ახლოვდება ლენინის ანდერძებისასრულება. საბჭოთა საზოგადოების ყველა სოციალური ძალები ერთდებიან ლენინის დროშისა და ლენინიზმის გარშემო, ე. ი. სოციალისტური საზოგადოების აქტიური აღმშენებლობისა და ოქტომბრის რევოლიუციის ბოლომდი მიყვანის ამოცანების გარშემო.

რაც შეეხება მუშათა კლასს, აქ არ შეიძლება არავითარი დაეჭვება. საბჭოთა რესპუბლიკის პროლეტარიატი მთლიანად მიყვება კომპარტიას. მან გვიჩვენა ეს ლენინის გარდაცვალებისთანავე, როცა პარტიაში შევიდა 200.000 ახალი წევრი დაზგებიდან. გლეხთა ქვეითი არმიაც თავის მჭიდრო და მძიმე მასით იკრიბება ლენინის დროშის გარშემო. ქალაქისა და სოფლის დაახლოება, ეს ერთი ლენინის მთავარ ანდერძთაგანი, წინ მიდის.

ბოლოს მშრომელი ინტელიგენციაც უერთდება საერთო მუშურ-გლეხურ რიგებს. ინჟენერთა და მასწავლებლობის ყრილობამ დაგვანახა, რომ მშრომელი ინტელიგენციის ფართე მასები უერთდებიან პროლეტარიატის ძირითად ამოცანებს და აცხადებენ, რომ ისინი მზად არიან პროლეტარიატთან ერთად და მისი ხელმძღვანელობით ჩაებან ახალი საზოგადოების აღმშენებლობის საქმეში.

ამ რიგად ეწყობა სამთა კავშირი—მუშათა კლასის, გლეხობისა და ინტელიგენციის, რომელიც შეადგენდა ესერების მიზანს, მაგრამ რომლის განხორციელება წილად ხვდა მხოლოდ კომპარტიას საბჭოთა ხელისუფლების დროშის ქვეშ“.

## ინგლისის პროფკავშირთა მემარცხენე უმცირესობის კონფერენცია.

კვირას შესდგა ინგლისის პროფკავშირთა მემარცხენე კონფერენცია, რომელიც დიდის წარმატებით ჩატარდა. მონაწილეობდა 590 დელეგატი.

პოლიტმა გააკეთა მოხსენება საბჭოთა კავშირის მეექვსე ყრილობისა და საბჭოთა კავშირში მყოფ ინგლისის პროფკავშირთა დელეგაციის შესახებ.

წაკითხულ იქნა სხვა და სხვა მუშათა ორგანიზაციების მისალმებანი კონფერენციის მიმართ.

**ერთხმად იქნა მიღებული სამხრეთ-უელსის სამთომადნო მუშათა კავშირის წარმომადგენელის-ხორნერისა და ავეჯეულობის მუშათა კავშირის წარმომადგენელ-გოსიპის მიერ შემოტანილი რეზოლიუცია პროფმოძრაობის მთლიანობის შესახებ საერთაშორისო მაშტაბში.**

ილაპარაკეს სხვა და სხვა ქვეყნების პროფკავშირთა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

მიღებულ იქნა რეზოლიუცია მთელი ბრიტანეთის პროფკავშირთა მთლიანობის შესახებ. ერთხმად იქნა აგრეთვე მიღებული რეზოლიუცია რკინის გზის ცალკე ათასეულის შედგენის წინააღმდეგ.

**ტრიბუნის წინ გამოკიდებული იყო ლენინის დიდი სურათი. კონფერენციამ პატივი სცა ლენინის ხსოვნას ადგომით.**

## საკითხი სუდანის არმიის ორგანიზაციის შესახებ.

ბრიტანეთის უზენაესმა კომისარმა ეგვიპტეში ალენბიმ, აცნობა ეგვიპტის მთავრობას სუდანის არმიის შედგენის გეგმის შესახებ.

ეგვიპტის პრემიერმა ზივერ-ფაშამ ალენბის გაუგზავნა პასუხი, რომ ვერავითარი ბრიტანეთის მიერ მიღებული ზომები ვერ მოახდენენ გავლენას სუდანის პოლიტიკურ მდგომარეობის საკითხის გადაჭრაში, ვინაიდან ეს საკითხი გარჩეულ უნდა იქნას მომავალ მოლაპარაკების დროს.

## ესკადრილია „წითელი მოსკოვი“.

25 იანვარს მე 13-ე მოსკოვის საგუბ. პარტკონფერენციამ დიდის ზეიმით გადასცა წითელ საჰაერო ფლოტს („წითელი მოსკოვის“-ს ესკადრილიას) 12 თვითმფრინავი, რომელიც აგებული იყო მოსკოვის მუშების კაპეიკებით.

მოსკოვის სამხედრო ოლქის ჯარების უფროსმა ვოროშილოვმა თავის სიტყვაში განაცხადა, რომ მიუხედავად ჩვენი ცნობისა და მრავალი გამარჯვებისა დიპლომატიაში, ჩვენ წინ გვიდგას კიდევ მრავალი გამოცდები, ვინაიდან დასავლეთის კაპიტალი მაინც ილესავს ჩვენზე კბილებს. მან მოუწოდა საჰაერო ფლოტის გაძლიერებისაკენ, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის თავდაცვის საქმეში.

მე 13-ე საგუბ. პარტკონფერენციის სახელით ილაპარაკა ციხონმა, რომელმაც გამოსთქვა რწმენა, რომ საჭირო დროს ეს თვით მფრინავები წაუღებენ თავის ფრთებით ყველა ქვეყნის მშრომელებს ილიჩის ანდერძებს.

ორეხოვო-ზუევის მუშათა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ორეხოვო-ზუევის მუშები გიძღვნით თქვენ ერთ თვით მფრინავს და გაძლევთ სიტყვას, რომ მომავალში მოგიძღვნით მთელ ესკადრილიას.

## გერმანიის კომპარტიის ცეკას სალამი.

ლენინის გარდაცვალების წლის თავზე გერმანიის კომპარტიის ცეკამ მიმართა რკპ-ს ცეკას სალამით, რომელშიაც ნათქვამია.

„გერმანიის რევოლიუციონური პროლეტარიატი დარწმუნდა, რომ მხოლოდ ლენინის მიერ ნაჩვენები გზა მიდის გამარჯვებისაკენ.

ლენინის საქმე სდგას შეურყეველ საფუძვლებზე. არაფერს არ შეუძლია შეაფერხოს ლენინიზმის გამარჯვება მთელ ქვეყნიერებაზე.

## კელნის ზონის გარშემო

### მოკავშირეების პასუხი გერმანიის ნოტაზე.

მოკავშირეების პასუხში გერმანიის ნოტაზე კელნის ზონის ოკუპაციის გაგრძელების შესახებ ნათქვამია, რომ მოკავშირეებს არ აქვთ სურვილი შევიდენ რაიმე მსჯელობაში, და მიიღონ რაიმე მითითება კელნის ზონის საკითხში.

შემდეგ ნოტაში ნათქვამია: მოკავშირეები ახლო მომავალში აცნობებენ გერმანიას, თუ რა ვალდებულება რჩება კიდევ მათზე ვერსალის ხელშეკრულების თანახმად.

## კიდევ ერთი „დარღვევა“

### ალბად ვერსალის „დავთარში“ ასე სწერია.

ელჩთა კონფერენციამ მიმართა გერმანიის მთავრობას მოთხოვნილებით, რათა გერმანიის კრუპის ქარხანამ შესწყვიტოს არგენტინის წყალქვეშა ნავებისათვის ქვაბებისა და სხვა მოწყობილობის დამზადება, ვინაიდან ეს ეწინააღმდეგება ვერსალის ხელშეკრულებასო.

## ლენინის დღეები ახალშენებში.

პარიზში მყოფ საფრანგეთის ახალშენების მშრომელებმა მოაწყვეს დიდი მიტინგი ლენინის გარდაცვალების წლის თავის აღსანიშნავად, მიტინგზე ერთხმად იქნა გამოტანილი რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია:

„ახალშენების პროლეტარიატმა მტკიცედ გადასწყვიტა განახორციელოს კოლონიებში ის, რაც ლენინმა და ბოლშევიკურმა პარტიამ განახორციელეს საბჭოთა კავშირში“. მიტინგი ესალმება რევოლიუციონურ მოძრაობას ინდოეთში, ეგვიპტეში, ტუნისში და მაროკოში.

## რკპ-ს ლენინგრადის ორგანიზაციის კონფერენცია.

გაიხსნა რკპ-ს ლენინგრადის ორგანიზაციის ოცდამეერთე კონფერენცია.

ფართე მოხსენება გააკეთა საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობის შესახებ ამხ. ზინოვიევმა.

# ლენინის ხსოვნისათვის.

ვლადივასტოკში ლენინის გარდაცვალების წლის თავის აღსანიშნავად ჩაშვებულ იქნა ზღვაში კაპიტალურად შეკეთებული „ლენინის სახელობის დობროფლოტის“ გემი.

იჟევსკში, რიბინსკში, ნიკოლაევში და სარატოვში ლენინის გარდაცვალების წლის თავი აღნიშნულ იქნა დაზგის მუშათა და მუშა ქალთა პარტიაში გადასვლით, პენზაში—პიდრო სადგურის ამუშავებით, რომელიც სინათლეს აძლევს გლეხების ქოხებს, სახალხო სახლს და კოოპერატივს; ბუხარაში—დიდი დემონსტრაციით, ლენინის ძეგლის გახსნით, უზბეკ—ქალთა კრებით, რომელმაც ფიცი დასდეს საბჭოთა სკოლებში ქალების გამოზრდაზე და ლენინის კუთხის გახსნაზე.

## ბურჟუაზიის ჭორები.

ბელგრადის გაზეთ „სამოუპრავაში“ გამოქვეყნებულია მოხსენება „ინტერნაციონალთან მებრძოლ საერთაშორისო ბიუროსი“, რომელიც მოწყობილია ევროპის მსხვილ ვაჭარმრეწველთა და ბანკირების მიერ.

მოხსენებაში მოთავსებულია ყოველგვარი ყალბი ცნობები კომინტერნის საქმიანობის შესახებ, რომ შუა ევროპაში კომუნისტური აგიტაციის ცენტრს წარმოადგენს ვენა, რომ სამხრეთ—სლავიაში აგიტაციის საწარმოებლად კომინტერნს დიდძალი ფული აქვს გადადებული და სხვ.

## სამხრეთ-სლავიის კომპარტიის ცეკას მოწოდება.

სამხრეთ—სლავიის კომპარტიის ცეკამ მოწოდებით მიმართა მუშებსა და გლეხებს. მოწოდებაში ნათქვამია: შვეციის სამხედრო უწყება და ბურჟუაზია, ლაქია სოციალ—დემოკრატების დახმარებით, აშკარა ომს უცხადებენ ხორვატიის ხალხს სამხრეთ-სლავიის მუშებსა და გლეხებს.

ერთად-ერთი გზა გათავისუფლებისთვის ეს არის კავშირი მუშებთან, კომპარტიასთან, ჩაგრულ ერებთან და შეიარაღებული ბრძოლა თეთრი ტერორის რეჟიმის წინააღმდეგ.

## ბელგიის კომპარტიის კონგრესი ლენინიზმის გზით.

ბელგიის კომპარტიის კონგრესმა ბრიუსელში ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ის ესალმება ბოლშევიკური რევოლიუციის ბელადის ხსოვნას, რომელიც წარმოადგენდა მსოფლიო რევოლიუციის წინამორბედს.

რეზოლიუცია აღნიშნავს, რომ ბელგიის კომპარტია ერთხმად ემხრობა კომინტერნის მე-5-თე კონგრესის გადაწყვეტილებებს და გამოაქვს დადგენილება განახორციელოს ისინი სავსებით და მთელი თავისი ენერგიით იაროს ლენინიზმის გზით.

## რუმინეთის უსაფუძვლო იმედები.

26 იანვ. იმის გამო, რომ რუმინეთი სცდილობს ხელი შეუშალოს სრუტეებში, ვრანგელის ფლოტის გატარებას „ლა გაზეტა“ სწერს:

„რუმინეთის შიში ბუნებრივია, მაგრამ მას ამისათვის არავითარი საბუთი არა აქვს“.

## საბჭოების ხელახალი არჩევნების კომპანიის მიმდინარეობა საქართველოში.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში დაიწყო საქართველოში საბჭოთა არჩევნების კომპანიის მიმდინარეობის შესახებ; ცნობების მიღება.

**გორის მაზრაში.**

23 იანვრიდან დაიწყო არჩევნები. მიუხედავად ცუდი ამინდისა გლეხები მაინც დიდ ინტერესს იჩენენ არჩევნებისადმი. თემებში დაგზავნილია 11 ინსტრუქტორი,

**თელავის მაზრაში.**

არჩევნები დაიწყო 26 იანვრიდან. მაზრა დაყოფილია 19 თემათ და 6 სასოფლო საბჭოთ. მაზრაში არჩევნების კომპანიას ხელმძღვანელობს 12 ინსტრუქტორი,

**სამხრეთ ოსეთში.**

სამხრეთ-ოსეთის საოლქო სა
არჩევნო კომისიის თავმჯდომა
რე დეპეშით იტყობინება, რომ
მიუხედავად მცხოვრებთა დიდ
დაინტერესებისა საშინელი ქარ
ბუქი შეუძლებლათ ხდის არ
ჩევნების ჩატარებას, რის გა
მოც იგი შუამდგომლობს არ
ჩევნების გადადებაზე.

**გურიაში.**

გურიაში საბჭოთა არჩევნებ
დაიწყება 1-ლი თებერვლიდან
ჯერ-ჯერობით არჩევნების და
წყებას ხელს უშლის დიდი თო
ვლი

## სამხედრო ტრიბუნალში.

**„კარუტოზე“ თავდამსხმელთა საქმე.**

27 იანვრის სხდომა ტრიბუნალმა მოანდომა ბრალდებულთა დაკითხვას. გზა და გზა უფრო ნათლად ირკვევა ამ გმირთა მოღვაწეობის ყველა მხარეები. ეკითხებიან ჯინჭარაიშვილს, იმნაძეს, თავართქილაძეს, გურგენიძეს, ხრაპკინს, კერამიძეს, ვასო ვანიძეს და სხვებს.

ხრაპკინი პირზე ჩვეულებრივი გაიძვერული ღიმილით, ყვება თავის თავგადასავალს და ამბობს, რომ იგი სრულებით უდანაშაულოთ დააპატიმრა სისხლის სამართლის მილიციამ და 21 დღე იყოლიეს სატუსაღოში. აქ იგი გაცნობია ქარუმიძეს. განთავისუფლების შემდეგ იგი ხან და ხან ხვდებოდა მას და შესჩიოდა თავის უმწეო ეკონომიურ მდგომარეობაზე. ერთხელ ქარუმიძემ მას უთხრა, რომ იგი უნდა წასულიყოს მასთან ერთად „ფულის ასაწევათ“. ამ სიტყვებით მას გადაუცია ხრაპკინისათვის უვაზნო, ცარიელი რევოლვერი. თავდასხმის დროს ხრაპკინს რევოლვერში ტყვიები არა ჰქონია.

—ჩემთვის სიცოცხლეს არა აქვს არავითარი ფასი, ამბობს ბრალდებული რიხიანათ.

**ქურდის ქურდი.**

ბრალდებულ ჯინჭარაიშვილისა და კერამიძის დაკითხვებიდან გამოირკვა ერთი დამახასიათებელი ფაქტი. ჯინჭარაიშვილს კერამიძისათვის გადაუცია, საზავხულო საბანში გაკრული ფული (კაი დიდი თანხა ყოფილა) და დაუვალებია, რომ ეს საბანი მას მიეტანა სადგურის ქუჩაზე სასადილო „გურიაში“ ნაცნობთან.

კერამიძეს კი მიტანის მაგიერ გაუხსნია საბანი, უპოვნია ფული და მიუთვისებია—„ქურდის ქურდი ცხონებულიაო“ გაუფიქრებია მას და ამ ფულით განუზრახავს ვაჭრობა.

წასულა ერთ ამხანაგთან ერთად მოსკოვში, მაგრამ სხვა და სხვა მიზეზის გამო ისევ უკან დაბრუნებულან. როსტოვში ჩამოსვლისას სადგურზე მათ დაიწყეს ჩაის მირთმევა

და ჩემოდანი კი, რომელიც
უცხოეთის ვალიუტით და ჩერ
ვონცებით იყო გამოტენილ
შეუდევთ იქვე მაგიდის ქვეშ
აქედან ჩემოდანი მოეპარა ვი
ღაცას. ისე რომ ქურდის ქურდ
კიდევ ქურდი აღმოუჩნდა. შე
რჩათ მხოლოთ 35 ჩერვონე
ცი, რომელსაც ისინი ჯიბი
დაატარებდენ, მაგრამ... ბაქო
ში ისინი დააპატიმრეს და ყვე
ფერი წაშხამდათ.

უწინ თურმე კერამიძე კ
დევ მჯდარა ციხეში, ვიღა
ებრაელზე თავდასხმისათვი
ერთი სიტყვით „სტაჟიანი“ კ
ცი ყოფილა.

27 იანვარს საღამოს და
რულდა ბრალდებულების და
კითხვა.

დ.

## ამხ. ლენინის ბრძოლა პარტიისათვის და უთანხმოება ამხ. ტროცკისთან.

**(რა უთანხმოება ჰქონდათ ბოლშევიკებსა და ლენინს ამხ. ტროცკისთან 1917 წლის რევოლიუციამდე).**

ბევრი წითელ-არმიელი და მეთაური, რომლებმაც არ იციან, ან და ცუდად იციან კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) რევოლიუცის ისტორია, გაკვირვებით იკითხავენ: როგორ მოხდა ეს, რომ ამხ. ტროცკი, რომელიც იყო არმიის ბელადი და ისეთ დიდ როლს თამაშობდა რევოლიუციაში, უცებ გამოეყო პარტიას და მრუდე ხაზი აიღო?

ბევრი ფიქრობს, რომ ამხ. ტროცკი მთელ სიცოცხლეში ლენინის მარჯვენა ხელი იყო და კიდევ უფრო გაკვირდებიან ყოველივე იმით, რაც ეხლა მოხდა.

მაგრამ ყველამ ხომ არ იცის, რომ ამხ. ტროცკი ვერ უთანხმდებოდა ლენინსა და ბოლშევიკებს თვით 1917 წლის რევოლიუციამდი და მხოლოდ 1917 წლის ივლისში შევიდა ის ბოლშევიკურ პარტიაში.

საჭიროა იმ უთანხმოების გაცნობა, რომელიც არსებობდა ტროცკისა და პარტიის შორის 1917 წლამდი. მაშინ, ვისთვისაც არის რაიმე გაუგებარი, აშკარა გახდება.

**მებრძოლთა ფოლადისებური პარტია თუ უფორმო კავშირი?**

22 წლის უკან, 1903 წელში მეორე ყრილობაზე წამოიჭრა საკითხი, თუ როგორ უნდა მოწყობილიყო პარტია. პარტია მაშინ საჭირო იყო ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. მეფის თვითმპყრობელობა სასტიკად უსწორდებოდა რევოლიუციონერებს, ასახლებდა ციმბირში, აწამებდა ციხეებში და კატორღაში. ასეთ პირობებში წარმატებითი ბრძოლის საწარმოებლად საჭირო იყო რჩეულ და რკინის დისციპლინით შეკავშირებულ მებრძოლთა პარტია, რომლებიც შესძლებდენ პოლიციის კლანჭებისაგან თავის დაღწევას და საჭიროების დროს ღირსეულად შეხვედრას სიკვდილთან.

ასეთი პარტიის აგება უნდოდათ ბოლშევიკებს ლენინის მეთაურობით.

მენშევიკები, რომელთა შორის იმყოფებოდა იმ დროს ამხ. ტროცკი, ამბობდენ, რომ ისეთი პარტია, როგორის აგებაც სურს ლენინს, იქნება ადამიანების წრე, რომელიც მოსწყდება მშრომელთა მასებსო. ამიტომ, ამბობდენ მენშევიკები, საჭიროა პარტიის კარები ღია იყოს ყველა მსურველისათვის, მათთვისაც კი, ვისაც არ სურს სრულიად შესწიროს თავი პარტიის საქმეს (პროფესორები და სხვა).

ბოლშევიკები და ლენინი აღნიშნავდენ, რომ თვითმპყრობლობაზე გამარჯვების შემდეგ, პარტიაში გზა ექნება მშრომელთა ფართე მასებს, მაგრამ მაშინაც კი არ იქნებიან მიღებული განურჩევლად.

ხოლო სანამ თვითმპყრობლობა არ დამარცხებულა, ასეთი“ თავისუფალი პარტია“ მიგვიყვანს ყოველთვის დამარცხებამდე და თვითმპყრობლობა სულ თავისუფლად ჩაიგდებს ხელში და გაანადგურებს რევოლიუციონერებს.

ცხოვრებამ სრულიად გაამართლა ბოლშევიკებისა და ამხ. ლენინის გეზი. ფოლადისებურ, რკინის დისციპლინის მქონე მთლიანი პარტიის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა გამარჯვება 1917 წლის ოქტომბერში, შეუძლებელი იქნებოდა გამარჯვება სამოქალაქო ომში ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ.

**ბრძოლა პარტიის დამრღვევთა წინააღმდეგ.**

1905 წლის რევოლიუციის შემდეგ მეფემ დათმობის სახით მოიწვია სახელმწიფო სათათბირო და აღუთქვა ხალხს ერთგვარი თავისუფლება. ბოლშევიკები ამბობდენ, რომ მეფე პირველ შესაძლებლობისთანავე, როგორც კი გაივლის მისი შიში, უკანვე წაიღებს თავის დაპირებებს. ამისათვის საჭიროა გამოვიყენოთ ჯერჯერობით მუშაობის მცირე შესაძლებლობანი მშრომელთა მასებში, უპირველეს ყოვლისა მუშათა შორის.

უნდა შექმნას ორგანიზაციები ფართე მასებში (კულტურულ საგანმანათლებლო საზოგადოებებში, პროფკავშირებში და სხვა). უნდა მოგვარდეს რევოლიუციონური გაზეთის გამოცემის საქმე. მაგრამ ყოველივე ეს არ არის საიმედო, იმიტომ რომ ხვალ თვითმპყრობელობას შეუძლია ყველაფერი ეს გაანადგუროს და მოსპოს. ამისათვის, მუდამ ამტკიცებდა ამხ- ლენინი, საჭიროა როგორც წინად, გავაძლიეროთ ფარული მუშაობა, ფარული პარტია რევოლიუციონურ მებრძოლთა. თუ თვითმპყრობელობა კვლავ მოგვისპობს ყოველგვარ საშუალებას ცოტად თუ ბევრად აშკარა მუშაობისთვის, მაშინ მაინც დარჩება საიდუმლო პარტია და მუშაობა არ შეჩერდება.

მენშევიკები კი ამბობდენ, რომ უნდა დაიშალოს ფარული პარტია და გადავიდეთ სავსებით მუშაობაზე იმ პირობებში, რომელსაც გვაძლევს ჩვენ თვითმპყრობელობის კანონი და მთელი მუშაობა შევუფარდოთ ამ პირობებსა და კანონებს. ამიტომ იყო, რომ ამხ. ლენინმა უწოდა მათ ლიკვიდატორები.

ბოლშევიკები ამხ. ლენინის მეთაურობით სასტიკ ბრძოლას აწარმოებდენ ლიკვიდატორების წინააღმდეგ, რომელთაც სურდათ დაეშალათ და მოესპოთ ფარული პარტია.

ბოლშევიკები უწოდებდენ მათ მუშათა კლასის მოღალატეებს, რომელთაც სურდათ უიარაღოდ დაეგდოთ მუშები თვითმპყრობელობის წინაშე.

ამხ. ლენინი მოუწოდებდა ბოლშევიკებს გამოყოფოდათ მუშათა პარტიის ყველა გამცემლებს და დაეტოვებიათ პარტიაში მხოლოდ ისინი, ვინც თავდადებულნი იყვნენ მუშათა კლასის საქმისათვის. სხვაფერ კი ყველა მერყევები მხოლოდ ხელს შეუშლიან, დააბნევენ და წაიყვანენ პარტიას მრუდე გზით.

ამხ. ტროცკი ამ დროს ამბობდა, რომ გაყოფა არ არის საჭირო. განხეთქილებას, ამბობდა ტროცკი, იწვევს ის, რომ ბოლშევიკები და ლენინი მეტად მოუთმენელი ხალხია, რომ იმათ არ შეუძლიათ შეურიგდენ კაცს, რომელიც არ ფიქრობს ლენინივით. ტროცკი ამბობდა, რომ არ არის სავალდებულო პარტიაში სრული ერთსულოვნება, რომ შეიძლება პარტიის წევრები ყველაფერში არ დაეთანხმონ პარტიას.

ცხოვრებამ დაგვიმტკიცა, რომ ამხ. ტროცკი ამ საკითხშიაც სცდებოდა.

დღეს სრულიად აშკარაა, რომ ბოლშევიკებმა ყოველგვარ მერყეობის გარეშე შესძლეს ოქტომბრის რევოლიუციის და მშრომელთა ბრძოლის ხელმძღვანელობა სამოქალაქო ომის წლებში იმიტომ, რომ პარტიის რიგებში არ ყოფილა მერყეობა, რომ პარტია იყო სრულიად მთლიანი და ფოლადისებური თავის მთლიანობაში. ხოლო მთლიანობა და ს
მტკიცე ბრძოლაში მიღწეუ
იქნა იმის მეოხებით, რომ პა
რტია გამოეყო ადრევე რევო
ლიუციამდე ყველა მერყევ ელ
ემენტებს, ყველა იმათ, ვისაც
თავისი მერყეობის წყალობი
შეეძლო მხოლოდ მშრომელთ
საქმის დაღუპვა. და მართლაც
ყველა ისინი, ვისაც ებრძოდ
რევოლიუციამდი ლენინი, ვი
ნც თავიდან მოიშორა ბოლ
შევიკებმა-ყველა ისინი გამო
დგა საბჭოთა ხელისუფლების
მტრები, ყველა ისინი ეხმარე
ბიან საზღვარ გარეთ მსოფლი
ო ბურჟუაზიას საბჭოთა რეს
პუბლიკების კავშირის მუშ
ბისა და გლეხების წინააღმდ
ბრძოლაში.

აი რატომ დღესაც დიდ
სიფრთხილით ღებულობენ ბო
ლშევიკები პარტიაში იმ მო
საზრებით, რომ უმჯობესია პა
რტია იყოს მცირერიცხოვანი,
მაგრამ მთლიანი და მტკიცე
შეკავშირებული.

1914 წლის ომის დაწყები
დროს ლენინსა და ბოლშევი
კებს ახალი უთანხმოება და
ბადათ ამხ. ტროცკისთან.

შემდეგ წერილში ჩვენ შე
ვეხებით იმას, რაში იყო ბოლ
შევიკების და ამხ. ლენინის
უთანხმოება ტროცკისთან 191
წლის ომის დროს და 191
წლის რევოლიუციამდი.

ს. კრუგლიკოვი.




წითელ-არმიელო,
გსურს იცოდე:
რა ხდება ქართულ და მოძმე რუსულ წითელ-არმიაში?
რას წარმოადგენს და ვის იცავს წითელი არმია?
რა ხდება ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში
და მათ არმიებში?
გამოიწერე შენი გაზეთი „წითელი არმიელი“ და ყველა ამას გაიგებ.

## როგორ ჩატარდა ლენინის კვირეული 1-ლ ლეგიონში.

### საკლუბო მუშაობა.

**ლენინის კუთხეები.**

16 იანვრიდან ლენინის კუთხეები შეუდგნენ დაკვრითი ხასიათის მუშაობას. ყველა ასეულების კომუჯრედების წევრები და კლუბის მუშაკები შეუდგნენ წინასწარ გამომუშავებულ გეგმის თანახმად, ლენინის კუთხეების გადახალისებას.

ლენინის კუთხეებში გამოყოფილ იქმნა „ლენინის განყოფილება“. სადაც გაკრული იქნა ლენინის უკვდავი ლოზუნგები-წითელ არმიისა, გლეხებისა და მუშების კავშირის შესახებ და სხვა, ლენინის განყოფილების მოწყობაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდენ წითელ-არმიელები. 16 იანვრიდან საღამოობით დაიწყო ლენინის კუთხეებში საუბრები და ხმა მაღალი კითხვები.

პირველ თემათ ჩატარდა ლენინის კუთხეების ამოცანები. მეორე თემა ეხებოდა ლენინის ცხოვრებას და მოღვაწეობას, რამაც ძლიერ დაინტერესა არმიელები.

ყველა დანარჩენი თემები, რომლებიც ეხებოდა ლენინს და მის მოღვაწეობას, ტარდებოდენ დიდი აღფრთოვანებით. კუთხეებში გამოკრული იყო სარეკომენდაციო სიები ლენინის წიგნებისა და მის ცხოვრების შესახებ.

20 იანვარს თითქმის ყველა ასეულის აქტივისტების მეოხებით გამოცემულ იქმნა კედლის გაზეთები.

23 და 24 იანვარს ლენინის კუთხეებში ჩატარებულ იქმნა თამაში, „ფანტი“ რომელიც ეხებოდა ლენინის ცხოვრებიდან და მოღვაწეობიდან ამოღებულ კითხვებს, სწორი პასუხისათვის წ. მოლაშქრენი ღებულობდენ შესაფერის საჩუქრებს.

**წრეები.**

პოლიტ-ლიტ. და დრამ-წრეები 17 იანვრიდან შეუდგნენ მეცადინეობას. პირველი მათგანი ამზადებდა მოგონებებს ლენინის ცხოვრების შესახებ, მეორე ემზადებოდა ლექსებით მასიურ მუშაობაში მონაწილეობის მისაღებათ. მზადდებოდა ა. წ. 22 იანვრისათვის შესაფერისი პიესები. ყველა წრეების წევრები, გარდა თავის პროგრამისა-პარალელურათ აწარმოებდენ აქტიურ მუშაობას ლენინის კუთხეებშიც.

**კლუბი.**

კლუბი 16 იანვრიდან შეუდგა ლენინის კუთხის გადახალისებას.

ლენინის კუთხისათვის შეძენილ იქმნა ლენინის დიდი ბიუსტი. კლუბის ლენინის კუთხე იყოფოდა სამ ნაწილად. 1) მოწყობილ იქნა კიბე ცხრა საფეხურით, დაწყებული 1917 წლიდან, 1925 წლამდე. თითეულ საფეხურზე წაწერილი იყო აღნიშნულ წელში ლენინის—ლოზუნგები და ამა თუ იმ წლის მნიშვნელოვანი მომენტები. ყველა საფეხურებზე.

ანთებული იყო—მინიატურული სანათურები. კიბის თავში მოთავსებული იყო ლენინის ბიუსტი.

აქვე მოწყობილი იქნა განყოფილება, სადაც მოთავსებული იყო ლენინის ბიოგრაფია, წერილები მის გარდაცვალებაზე, ლეგიონის წრეების კოლექტიური შრომა—მოგონების სახით (ლენინის გარდაცვალების გამო) „გლოვის ფურცელი“-ს სახელწოდებით.

## მასიური მუშაობა.

**21 იანვარი.**

21 იანვარს გამართული იქმნა მოგონების საღამო;—ოთხ განყოფილებით: 1 განყ. სიტყვები ამხ ლენინის მოღვაწეობის შესახებ. 2 განყ. ფიცი და აღთქმანი (წ. არმიელთა კოლექტიური შრომა—ვიხელმძღვანელეთ ამხ. სტალინის სიტყვიდან, რომელიც წარმოთქმული იქმნა 1924 წელს ამხ ლენინის გარდაცვალების გამო საბჭოების სამგლოვიარო სხდომაზე).

3. განყ. მოგონებანი ამხ. ლენინზე (პოლიტ-წრე) 4 განყ. დივერტისმენტი (ლიტ-წრე).

განსაკუთრებით კარგი იყო ფიცი და აღთქმა.

საღამოზე უკრავდა ლეგიონის ორკესტრი—სპეციალურათ დამზადებულ პარტიტურას: „დღეს და ხვალ“.

საერთოთ საღამო კარგი იყო და დიდი შთაბეჭდილება დასტოვა წ. არმიელებზე.

**22 იანვარი.**

22 იანვარს დადგმულ იქმნა სპეციალური პიესები: 1) ლენინი მოკვდა ერთ სურათად და 2) ლენინი ოქტომბერი— 1 მოქმედებათ.

აღნიშნულ პიესაში მონაწილეობდენ წ. მოლაშქრეები, რომელნიც დიდი ყურადღებით ასრულებდენ თავიანთ როლებს.

განსაკუთრებით კარგათ დაიდგა პიესა: „ლენინი—ოქტომბერი“. ამ პიესაში მასიური სცენები დაკვირვებით ჩატარდა.

აღნიშნულ პიესების ჩატარების შემდეგ—წ. არმიელებმა წაიკითხეს ლექსები—ლენინზე.

ამ საღამოსათვის კლუბმა სპეციალურად გამოუშვა ჟურნალი „ჩირაღდანი“ ჟურნალი შეიცავს 60 გვერდს და მოთავსებულია წ. არმიელთა წერილები-როგორც ლენინის გარდაცვალების გამო (მოგონებანი) აგრეთვე წერილები—ერთი წლის მოღვაწეობის შესახებ—ულენინოთ. საღამოს ჩატარების შემდეგ ჟურნალი გაგადაიგზავნა ლენინის კუთხეებში.

საერთოდ ლენინის კვირეულის შესაფერმა ჩატარებამ ჩვენს ლეგიონში—ერთხელ კიდევ ნათლად დაგვანახვა—დიდი მასწავლებლის ლენინის ანდერძისადმი წ. არმიელთა მასაში დიდი პატივის ცემა და სურვილი მისი დაცვისა და შესრულებისა.

ვ. სიხარულიძე

# პარტიული ცხოვრება.

## სამოქალაქო ორგანიზაციებთან დაკავშირება.

17 იანვარს 6 ლეგიონის 1 და 2 ათასეულის უჯრედი, მიმაგრებული იქმნა ქალაქის წყალსადენის უჯრედთან.

წყალსადენის უჯრედის მორიგ კრებაზე მიწვეული იქნა ჩვენი უჯრედი.

სხვა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად დასმული იყო, სამხედრო ორგანიზაციის დაკავშირების შესახებ, სამოქალაქო ორგანიზაციაზედ, რასაც ვრცლად შეეხენ მრავალი ამხანაგები ორთავე მხრიდან და აღნიშნეს, თუ როგორი კავშირი უნდა ვიქონიოთ ერთმანეთთან.

ამ დაკავშირებამ სათანადო ნაყოფიც გამოიღო.

ჩვენი წითელ არმიელები უმეტესად სოფლის ოჯახის შვილებია. ისინი თავის დროზედ ვერ გებულობდენ მუშების ყოფა ცხოვრების შესახებ.

ამ კავშირმა კი დაახლოვა ერთმანეთთან ჩვენი წითელი არმიელები და მუშები, გაიცვნეს ერთმანეთი, გაიგეს ერთმანეთის ყოფა-ცხოვრება, პირვარამი და სხვა.

უსურვებთ წყალსადენის ორგანიზაციის მთელ შემადგენლობას, რომ ეს კავშირი განუწყვეტელად ქონოდეთ ჩვენთან და ჩვენც სამხედრო ორგანიზაციის კომუჯრედის მთლიანი შემადგენლობა არას დროს არ გავწყვეტთ მათთან კავშირს და მათთან ერთად ხელჩაკიდებული ვივლით წინ, ლენინის იდეების განსახორციელებლათ.

პარტკორი დანელია.

## საარტ. ლეგიონი ექსკურსიაზე.

კვირას 25 იანვარს ჩვენმა არტ. ლეგიონის კომუჯრედებმა მოაწყო ექსკურსია სახელმწიფო ზოოლოგიურ მუზეუმის დასათვალიერებლათ.

ექსკურსიას ხელმძღვანელობდა ლეგიონის კლუბის უფროსი ამხ. ლეშკაშელი.

მონაწილეობა მიიღო 1-2-3-მე ბატარეამ და არტ. სკოლის კურსანტებმა.

მივედით თუ არა მუზეუმთან კლუბის უფროსმა დაგვყო წით. არმიელები ჯგუფებათ და დავიწყეთ მუზეუმის დათვალიერება. სანახაობამ ძლიერ მიიპყრო წით. არმიელთა ყურადღება.

განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამხანაგებზე ვეფხვისა და მგლების ნახვამ.

მუზეუმის მნახველი წით. არმიელები უდიდესი პატივისცემით გაიმსჭვალენ ამ დიადი დაწესებულების დაარსების მეთაურებისადმი. ამასთანავე დიდი მადლობის ღირსია ამ ექსკურსიის მომწყობი ამხანაგები, რომლებმაც საშვალება მისცეს არმიელებს გაეცნობოდენ ამ შესანიშნავ დაწესებულებას.

ნამკაშურისპირელი.

## ჩვენი კომუჯრედების მუშაობა სოფლათ.

### ქართულ მეთაურთა სამხედრო გაერთიანებული სკოლა.

საბანაკო ყრილობაზე (სურამში) ყოფნის დროს სკოლის კომუჯრედს ჰყავდა საშეფო კომუჯრედების. მთელი რიგი. საბანაკო ყრილობების პირობებში შესაძლებელი იყო ყველა უჯრედებში გვეწარმოებია მუშაობა, (მოხსენებები, საუბრები, პოლიტ მეცადინეობა კომპანიის ჩატარება და სხვა) ხოლო ამ ჟამად ფორმალურათ გვაქვს რა კავშირი ყველა ამ უჯრედებთან, ფაქტიურათ არაფერი გვგვიკეთებია, რაც იმას უნდა მიეწეროს, რომ ბევრს გამოვეკიდეთ და ბოლოს ვერც ერთთან ვერაფერი ვერ გავაკეთეთ.

**წერილობითი კავშირი**

ეს ყველასათვის მიღებული საშვალება მართალია გვაკავშირებდა, მაგრამ იმდენათ მექანიკური იყო ეს კავშირი, იმდენად არა პრაქტიკული და სიცოცხლეს მოკლებული, რომ არც ჩვენ (სკოლის უჯრედს) გვ ძლევდა არაფერს და (უთუოთ) არც იმ თემის უჯრედებს, რომლებიც ჩვენს პრაქტიკულ შეკითხვებზე და მითითებებზე, გვწერდენ, რომ ჩვენ ძალიან კარგი ხალხი ვართ, თემის უჯრედს ძალიან მოვწონვართ და შეეცდებიან ჩვენთან ერთად იმუშაონ, იმეცადინონ, ისწავლონ და როდესაც დრო დადგება იბრძოლონ.

ყველა პრაქტიკულ წერილებზე პრაქტიკული პასუხი, არც მეტი არც ნაკლები. რა თქმა უნდა მდგომარეობის ასე გაგრძელება, რამდენად კავშირის სიმტკიცეში დაინტერესებული იყო სკოლის უჯრედი შეუძლებელი ხდებოდა, და კომუჯრედმა თავის მორიგ ამოცანად დაისახა მათთან

**ცოცხალი კავშირის აღდგენა.**

ამ მიზნით კომუჯრედმა გამოჰყო სოფლის უჯრედიდან მუდმივ ცოცხალ კავშირისათვის კოლეგია, რომელშიაც შეყვანილ იქნა საკავშირო კომისიის წარმომადგენელი. ამ კომისიის საშვალებით უჯრედმა გააბა ცოცხალი კავშირი სოფლის კომუჯრედებთან, რომელთაც ის უგზავნიდა ყოველ კვირეულათ მომხსენებლებს, ითვალისწინებდა, რა ადგილობრივ პარტიულ მასის მოთხოვნილებას და მორიგ პარტიულ ამოცანას.

გარდა ამისა საშეფო უჯრედებს გამოეწერათ გაზეთები, ეგზავნება ასეთი ჩვენი სკოლის ბიბლიოთეკიდანაც, ეგზავნება, შემოწირული ბროშურები, რვეულები, ფანქრები და სხვ. რომელსაც ადგილობრივ აგროვებს გამოყოფილი კომისია. ჩვენი წარმომადგენლები ადგილობრივ სწავლობენ მუშაობის პირობებს და უფარდებენ მას თავიანთ მომავალ მუშაობას.

ეს გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ ძალების დაქსაქსვას, ბევრ უჯრედებთან კავშირს (თუგინდ ცოცხალ კავშირის დროსაც) ბევრი ნაყოფის მოტანა არ შეუძლია.

„სჯობია ნაკლები და უკეთესი“—ასე დაისვა საკითხი და ჩვენც ჩვენი მუშაობის ცენტრი გადავიტანეთ ერთ ერთ უჯრედზე. (სოფ. ტეზერის).

**რა გავაკეთეთ ტეზერში.**

ამას გვიჩვენებს ქვემოდ მოყვანილი ცნობები: 27 ნოემბრიდან 10 იანვრამდე სკოლის ბიბლიოთეკიდან გაგზავნილია 500 ცალი გაზეთი, 200 ცალი შემოწირული ჟურნალები და ბროშურები, მოწყობილია ქოხი—სამკითხველო, რომელსაც გაეგზავნა სათანადო ლოზუნგები, პლაკატები და სხვა. გაგზავნილია 200 ცალი რვეული და 77 ც. ფანქარი შემოწირულებით, ამ ჟამად იგზავნება კიდე 230 ცალი რვეული, ჩატარებულია სამი მოხსენება კომუჯრედებისა და საზოგადო კრებებზე, ჩვენი წარმომადგენელი გვაცნობს მუშაობის პირობებს, ადგილობრივ მდგომარეობას და სხვა, რის შედეგათ ვღებულობთ იმას, რომ ყველა კურსანტები და უფროსთა შემადგენლობა განურჩევლად მიმართულებისა, როგორც ერთი დაინტერესებულნი არიან ამ კავშირით და ცდილობენ, რითაც შეუძლიან დაეხმარონ სოფ. ტეზერის კომუჯრედს, გლეხთა ფართე მასების გათვითცნობიერების საქმეში.

ტი—შე.

## ამბები სოფლებიდან.

**მილიციელების დანიშვნა თემებში.**

სიღნაღის აღმასკომმა დაავალა სამაზრო მილიციის უფროსს, გამოყოს სამაზრო მილიციიდან თითო კაცი და დანიშნოს ისინი სათემო აღმასკომებთან.

**სოფ. გურჯაანში და კარდენახში.**

სოფელ გურჯაანში და კარდენახში, (კახეთი) ადგილობრივმა აღმასკომებმა დაიქირავეს კაცები სეტყვის დროს მაშხალა-შუშხუნების სასროლათ.

**მეფუტკრეობის კურსები თელავში.**

მოკლე ხანში თელავში გაიხსნება მეფუტკრეობის მოკლევადიანი კურსები, რომელზედაც მიწ.-მოქ. კომისარიატი გზავნის გამოცდილ მეფუტკრე ინსტრუქტორს.

**ზარალი ფილოქსერასაგან.**

ბორჩალოს მაზრაში წარსული წლის განმავლობაში ფილოქსერას დაუზარალებია 600 დესეტინა ვენახი.

**დიდი თოვლის გამო.**

ქიზიყიდან იტყობინებიან, რომ იქ დიდი ნაკლებობაა საქონლის საკვებისა. დიდი თოვლის გამო სხვა სოფლებიდან საკვების შემოტანა გაძნელებულია, რის გამოც მრავალი საქონელი კვდება.

**სამკურნალო საქმე აჭარაში.**

აჭარის დამზღვევმა სალარომ გადასწყვიტა მიაქციოს დიდი ყურადღება სოფლებში სამკურნალო საქმის სათანადო დონეზე დაყენებას.

## ᲡᲐᲛᲜᲔᲝ ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ.

### წითელ არმიელის საჭმელი.

ზოგიერთი ჯარის ნაწილებიდან გვესმის უკმაყოფილება საჭმლის უვარგისობაზე. რით აიხსნება ეს?

წითელ ჯარში არსებული სურსათ-სანოვაგის ნორმა საე რთოთ აკმაყოფილებს მოლაშქრის ნორმალურ გამოკვებას, მაგრამ ამა თუ იმ დაწესებულ ნორმის მარტო ცხოვრებაში გატარება, სავსებით არა სჭრის საკითხს წითელ არმიელის ყოველ-დღიურ კვებისას, საჭიროა კიდევ გონივრულად განაწილება ამ ულუფისა დღეში ორჯერ (სადილი და ვახშამი) ცხელი საჭმლის მოსამზადებლად. ამას გარდა უნდა იქმნეს მომზადებული გემრიელი და, რაც შეიძლება სხვა და სხვანაირი და წითელ-არმიელის გემოვნების საჭმელი. კიდევ უნდა გვქონდეს მხედველობაში, რომ გამზადება გემრიელ და მასაზრდოებელ საჭმლისა გამოიხატება არა მარტო სურსათ-სანოვაგის და სხვა და სხვა გემოვნების საჭმლის უბრალო განწესრიგებაში, არამედ პროდუქტების სათანადოთ მოხარშვის ცოდნაში, როგორიცაა მაგალითად მოსტნეულობის, ხორცის და ბურღულის გამოხარშვა.

**სურსათ-სანოვაგის ავკარგიანობა**

გემრიელი და საღი საჭმლის მომზადება დამოკიდებულია, როგორც მზარეულის გამოცდილობაზე და ცოდნაზე, აგრეთვე სანოვაგის სიავ-კარგეზე, ამიტომ ჩვენი სამნეო მუშაკების მიერ მიქცეული უნდა იქმნეს განსაკუთრებითი ყურადღება კარგი სურსათ-სანოვაგის ცნობაზე.

კარგი საჭმელი აძლიერებს ლაშქრის ბრძოლის უნარს.

წითელ-არმიელის კვებაში ნორმალურ ულუფის მთლიანად გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ზემოხსენებულ პირობებში, სახელდობრ: როდესაც სურსათ-სანოვაგე კარგი თვისებისაა, ყოველ დღე ნაწილდება იგი გონივრულად და მზადდება ცოდნით. თუ ჩვენ დავიცავთ ყველა ამ პირობებს, წითელ-არმიელის საჭმელი იქნება მიზანშეწონილი, რითაც მივაღწევთ ჩვენს უმთავრეს მიზანს, ე. ი. ხელს შეუწყობთ არმიელის ჯანმრთელობას, სხვა და სხვა გვარ ფიზიკურ გაჭირების გადატანას და ბრძოლის უნარის გაძლიერებას, რაც წარმოადგენს ერთ უმთავრეს პირობათაგანს წითელი ლაშქრის არსებობისას.

დაცულია ყველა ეს პირობები ჩვენ მიერ?

დავარწმუნებთ, რომ არა ყველასაგან, ამიტომ ერთეულის უფროსებმა, სამხედროებმა და სამნეო მუშაკებმა, საჭიროა მიაქციონ ამ გარამოებას სერიოზული ყურადღება და ყოველნაირად ეცადონ, გააუმჯობესონ და ნორმალურ დონეზე დააყენონ ჩვენი წითელი მოლაშქრის ყოველ დღიური გამოკვების საკითხი.

საჭიროა თითეულმა სამნეო მუშაკმა შეიძინოს, როგორც სახელმძღვანელო, პატარა წიგნაკი: „დარიგება საჭმლის მომზადებაზე“ (1924 წ. გამოცემა) და გულ-დადებით შეისწავლოს იგი.

**ს. შაკუნი.**

## ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ.

— **სპორტი ჯარში.** მეორე ლეგიონის სასპორტო წრეში ამჟამად მუშაობს 69 კაცი, მესამე ლეგიონში 29 წით. არმ. და საარტილერიო ნაწილებში 13 წითელ-არმიელი.

— **სკოლების ზრდა.** ტფ. ალმასკომის ცნობით 22-23 წლის განმავლობაში ტფილისის მაზრაში იყო 100 სკოლა ამჟამად კი არსებობს 125 სკოლა.

— **მანქანების გამოწერა.** ა. კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა საზღვარ გარეთიდან გამოიწერა 70 ცალი ხორბლეულობის გადასარჩევი და დასახარისხავი მანქანები.

— **წერა კითხვის უცოდინარობის.** სალიკვიდაციო სკოლების შესანახათ ქალ. ალმასკომმა გადასდო 13.447 მანეთი.

— **საჩივრები გადასახადებზე.** ფინსახკომის რწმუნებულის სამმართველოსთან შესდგა ცალკე კომისია, რომელიც განიხილავს გადასახადების შესახებ შესულ საჩივრებს.

— **სადოსტაქრო იარაღები.** გასულ წლის განმავლობაში, ჯანსახკომს შეუძენია 1.559 მანეთის სადოსტაქრო იარაღები.

— **მაღაზიის გახსნა.** სახალხო მამულების ტრესტმა პუშკინის ქუჩაზე, გახსნა საკუთარ ნაწარმოებთა გასასაღებლათ მაღაზია.

— **კრება პოლიტგანყოფილებაში.** ხუთშაბათს საღ. 6 საათზე პოლიტგანყოფილებაში შესდგება მეთოდიური კომისიის კრება. კრებამ უნდა განიხილოს, გაერთიანებულ სკოლის მასწავლებლის მიერ შედგენილი „ქართული ენის ქრესტომატია“.

## ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲔᲑᲘ.

— **წითელ-არმიელის გაქურდვა.** 26 იანვარს კახეთის ქ. № 56 გაქურდეს წით. არმიელ ფუხარეცკის და მოლჩანოვის ბინა. წაიღეს 130 მანეთის სახაზინო ნივთები.

## ᲠᲔᲑᲣᲡᲘ № 3.



## ᲠᲔᲑᲣᲡᲘ № 2-Ს ᲐᲮᲡᲜᲐ.

**დღეს ლენინის გარდაცვალების ერთი წლის თავია.**

ახსნა შემდეგმა წითელ—არმიელებმა: საკავშირო ასეულიდან შ. დიასამიძემ (პირველად).

ცალკე მესანგრე ასეულიდან—წ. ა. ჩაჩანიძემ და № ნაწილიდან წ. ა. კინწურაშვილმა და გ. ბარათაშვილმა.

## ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲪᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲓᲔᲑᲘ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲑᲐᲜᲘ.

### ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲘ.

წარმოუდგენელია ისეთი ადამიანი, განსაკუთრებით საქართველოში, რომ არ იცოდეს თუ რას წარმოადგენს ყვავილი ანუ, როგორც ჩვენში უწოდებენ, „ყვავილ—ბატონები“.

ყვავილი მართლა რაღაც „ბატონები“ კი არ არის, როგორც შეგნებული ადამიანი ფიქრობს, არამედ ერთი გადამდებ ავადმყოფობათაგანია, რომელიც ემართება რქოსან საქონელს, (განსაკუთრებით ძროხას), ცხვარს, ცხენს, ღორს, თხას, ძაღლს და აგრეთვე ადამიანს.

ვის არ უნახავს ამ ავადმყოფობისაგან დაკორტნილი, უმეტეს შემთხვევაში სახე დამახინჯებული ადამიანი და ვის არ გაუგონია ის, თუ რა დიდი იყო წარსულში მთელ დედამიწის ზურგზედ, ყვავილის საწინააღმდეგო აცრის გამოგონებამდის, მის მიერ ამოხოცილ შინაურ პირუტყვთა (განსაკუთრებით ცხვართა) და ადამიანთა რიცხვი?!

პირველ ზოგად ცნობებს ამ ავადმყოფობის შესახებ ჩვენ ვხვდებით 1275 წელში ინგლისის ლიტერატურაში

ყვავილის საწინაალმდეგო აცრა პირველად შემოღებული იყო მეთვრამეტე საუკუნის დამლევს, როდესაც როგორც ევროპაში, ისე სხვა ქვეყნებში ამ ავადმყოფობისაგან ადამიანებთან ერთად იხოცებოდა შინაურ საქონლის (განსაკუთრებით ცხვრების) აუარებელი რიცხვი.

ძროხის ყვავილი ცნობილი იყო ინგლისსა და სხვა ქვეყნებში რამოდენიმე საუკუნის წინეთაც. მეცნიერმა ჯენნერმა 1798 წელში პირველმა დამართა აცრის საშუალებით ძროხის ყვავილი ადამიანს და მით დაამტკიცა შესაძლებლობა ადამიანის სხეულში ყვავილის საწინააღმდეგო იმუნიტეტის ანუ შეუვალობის გამოწვევისა, რის შემდეგ ყველა ქვეყნებში თანდათან იქნა შემოღებული ძროხის ყვავილით ადამიანის აცრა ანუ „ვაქცინაცია“.

დღეს ყველა ჩვენთაგანიც კარგათ ვიცნობთ ამ აცრას და ისიც ვიცით, რომ მისი შემოღებით სამუდამოდ მოელო ბოლო იმ უდიდეს მსხვერპლს, ცხოველთა და ადამიანთა დახოცის სახით, რომელსაც ადგილი ჰქონდა დედამიწის ყველა ქვეყნებში აცრის გამოგონებამდის.

მეცნიერმა გერტვიგმა 1838 წელს, ავადმყოფობის შესწავლის მიზნით, თავის თავზე აიცრა ცხენის ყვავილი და უკანასკნელი კიდევაც დაემართა მას.

ყვავილის ისტორიაში ბევრია ისეთი შემთხვევები, როდესაც ყვავილით ავადმყოფ ცხენს, რომელსაც საზორკილე სახსრის გარშემო ყვავილისაგან დაყრილი ჰქონია, ნალბანდისათვის დაჭედვის დროს ყვავილი დაუმართებია და შემდეგ ნალბანდი ადამიანის ყვავილის დამართებისაგან თავის სიცოცხლეში უზრუნველყოფილი გამხდარა.

ყვავილის გამომწვევი მიზეზი ანუ მიკრობი მეცნიერებას ჯერ კიდევ ვერ აღმოუჩენია, თუმცა ის—კი დანამდვილებით არის გამოკვლეული, რომ მიზეზი ამ ავადმყოფობისა ცხოველის სისხლში, ყვავილის ფუფულას ანუ გართხმულ მუწუკის სითხეში, ამ სითხის გამხმარ ნაწილებში, იდუმალ სითხეებში და ამონასუნთქ ჰაერსა და ამოორთქლაში იმყოფება.

ყვავილი გადადის ერთი ცხოველიდან მეორე ცხოველზე სასუნთქავ ორგანოებისა და ავადმყოფი ცხოველის ჯანმრთელ ცხოველისადმი მიკარებით საშვალებით.

**ყვავილის ავად გახდომის ნიშნები.**

ყვავილი ორნაირი ფორმისაა: ერთი როდესაც ცხოველს მთელს ტანზე დაჰყრის, და მეორე—როდესაც ცხოველს მხოლოდ იმ ადგილებზე დაჰყრის, სადაც ბალანი ან სულ არა აქვს (ძროხის ცური) ან თუ აქვს, ძალიან ცოტა.

ყვავილის დამართებიდან 6—8 დღის შემდეგ ცხოველს სიცხე 41—42 გრადუსამდის აუდის, ჭამის მადა და ნაღოხარი ეკარგება, მოწყენილი და თავჩაღუნული გამოიყურება, თვალები და პირის ლორწიანი გარსი უწითლდება, სულის თქმა და მაჯა უსუსტდება, თვალებიდან და ცხვირიდან ჩირქნარევი წვინტლი ჩამოსდის, ახველებს, სულის თქმა უკავდება და ბოლოს ან მთელ ტანზე ან ტანის იმ ადგილებზე, სადაც ცოტა ბალანი აქვს, ბუშტის მსგავსი წითელი წინწკლები უჩნდება, რომლებიც თანდათან იზრდებიან, ფართოვდებიან, გამსჭვირვალე ან მოწითელო სითხით ივსებიან, ჩირქიანდებიან, სკდებიან და ბოლოს გახმებიან.

როგორც ყვავილის წინწკლების ტანზე გაჩენას ანუ დაყრას თან დასდევს სიცხის მომატება, ისე მათ გახმობას თან ახლავს სიცხის დაწევა, მუწუკების გაქრობა, ნამუწუკარ ადგილებზე გარდაუვალი ქდეების დატოვება და ცხოველის მორჩენა. ყვავილით ავადმყოფობა უგრძელდება ამა თუ იმ ცხოველს საშუალოდ 3 4 კვირამდის, ხოლო კვდება 2 5 პროც.-დის, ე. ი. ას სულ საქონელზე 2-5 თავი საქონელი.

**ყვავილის წინააღმდეგ საბრძოლველი საშუალებანი.**

ყვავილის წამლებით აქიმობას არავითარი სარგებლობის მოტანა არ შეუძლია. მის წინააღმდეგ ბრძოლის დროს საუკეთესო საშუალებად ითვლება კარგი საკვები, სუფთა ახალი და თბილი ჰაერი, თავლებ-ს, ბოსლების და ბაკების სისუფთავე, ავადმყოფი ცხოველების ჯანმრთელ ცხოველებისაგან გამოცალკევება, ავადმყოფი ცხოველების ნადგომი ბინების დეზინფექცია და ბოლოს აცრა. აცრა უნდა ხდებოდეს ცხოველის ავადგახდომამდის—ავადგახდომის აცდენის მიზნით, ხოლო ავადმყოფობის დროს—მისი მორჩენის მიზნით.

ყვავილის ერთხელ მოხდა ცხოველის თუ ადამიანის მიერ აძლევს მას მუდამ იმუნიტეტს ანუ **შეუვალობას**, რაიცა გამოიხატება იმაში, რომ მას არ ასოდეს ყვავილი არ დაემართება.

**ვეტექიმი ფარეიშვილი.**

## ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲪᲜᲝᲑᲐ.

არმიის საფინანსო განყოფილების მიერ ასსიგნატების თავის დროზე გასაცემად, რათა 15 რიცხვისთვის უკვე სალარომ გაანაღდოს ეს ასსიგნატები, საჭიროა ჯამაგირების მოთხოვნილებები იგზავნებოდეს იმ ანგარიშით, რომ ყოველ თვის 1-ლ რიცხვში მოთხოვნილება იყოს მიღებული საფინანსო განყოფილებაში.

**საფუძველი:** არმიის მომარაგების უფროსის № 1229 მოწერილობა 1925 წ. 19 იანვრის თარიღით.

1-ლ ქართულ მსრ. დივ. სამხ. სამ. მომარ.
უფროსი შაკუნი.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე

## ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ.

სამნეო—დამხმარე კომისიების თათბირი დანიშნული 28 იანვ. პოლიტ განყოფილებაში, გადატანილია 29 იანვ. წითელ-არმიის და ფლოტის სახლში (ნიკოლაევის ქუჩა № 53) დილის 9 საათზე. —

საორგ. საარტ. ნაწ. უფრ. ლომაია.

იანვრის 28, საღამოს 6 საათზე პოლიტ-განყოფილების შენობაში დანიშნულია 1-ლ ქ. მ. დივიზიის ტფილისში მდგომ ნაწილის სამნეო დამხმარე კომისიების (მთელი შემადგენლობის) თათბირი. სასურველია დასწრება მეორე ქართულ ტერ დივიზიის მეექვსე ლეგიონის სამნეო დამხმარე კომისიისა.

საორგ. ნაწილის უფროსი ლომაია.
ინსტრუქტორ-ორგანიზატორი კოპაძე.

პარასკევს 30 იანვ. დილის 11 საათზე ცენტრ. წითელ არმიელთა კლუბში შესდგება სემინარების მორიგი მეცადინეობა. სავალდებულოა დასწრება: კლუბის უფროსების, პოლიტ ხელების, ბიბ. გამგეების და ასეულის ბიბ. გამგეების.

ხელმძღვანელი ტ. წვენიევი.

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3. ტირაჟი 1200.